



შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს დებულება

მუხლი 1. სამეცნიერო საბჭო

შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო (შემდგომში სამეცნიერო საბჭო) არის შპს ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებისა და მხარდაჭერის კოლეგიალური ორგანო. საბჭოს ძირითადი ფუნქციაა შეაფასოს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის რეალიები, განსაზღვროს სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობის ძირითადი პრიორიტეტები, გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები და დააყენოს მიზანშეწონილი შუამდგომლობები უნივერსიტეტის შესაბამისი სტრუქტურების და თანამდებობის პირების წინაშე.

მუხლი 2. სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილება

სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებები:

- ა. სამეცნიერო საბჭო კოორდინაციას უწევს უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობას;
- ბ. სამეცნიერო საბჭო რეკომენდაციებს უწევს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, აკადემიურ საბჭოს, ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს - სკოლებს სამეცნიერო საქმიანობის საკითხებთან დაკავშირებით;
- გ. ახორციელებს კვლევითი საქმიანობის მონიტორინგს და ზედამხედველობს კვლევითი სტანდარტების უზრუნველყოფას;
- დ. ახორციელებს პრობლემებზე და გამოწვევებზე დაფუძნებული კვლევითი პროექტების და საპროექტო წინადადებების განხილვა და მხარდაჭერას;
- ე. ხელს უწყობს კვლევის თანამედროვე ნოვატორული მეთოდების დანერგვას;
- ვ. ახდენს უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი და ინოვაციური საქმიანობის პოლიტიკის შემუშავებას და არსებული რეალიების გათვალისწინებით შეაქვს ცვლილებები და დამატებები მასში;
- ზ. სამეცნიერო საბჭო უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის ჩართულობით ახდენს სამეცნიერო რესურსის და კვლევის პროდუქტიულობის შეფასების კრიტერიუმებს, კვლევის შედეგებისა და სამეცნიერო-აკადემიური კადრების შეფასების მიზნებისათვის;
- თ. სამეცნიერო საბჭო შეიმუშავებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე წარსადგენ რეკომენდაციებს კვლევითი გარემოსა და პირობების გაუმჯობესების შესახებ;
- ი. იღებს გადაწყვეტილებას და უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციებს სამეცნიერო ხასიათის გამოცემების შესახებ;

- კ. მხარს უჭერს სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების, სხვა სამეცნიერო გაერთიანებას და ახდენს მათ შორის ეფექტურ კოორდინირებას;
- ლ. განსაზღვრავს ყველა იმ სამეცნიერო პროდუქტის ჩამონათვალს რომლებიც საჭიროებენ რეცენზირებას;
- მ. ხელს უწყობს სამეცნიერო/კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციას;
- ნ. ხელს უწყობს უნივერსიტეტში და მის ფარგლებს გარეთ უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის განვითარებას;
- ო. შეიმუშავებს უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის დაფინანსებასა და კვლევითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით წინადადებებს.

მუხლი 3. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა

სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობაში შედიან:

- ა. უნივერსიტეტის ვიცე პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში;
- ბ. სკოლის სამეცნიერო/კვლევითი ცენტრის დირექტორ(ებ)ი;
- გ. საგანმანათლებლო ერთეულების სკოლების მიერ არჩეული თითო წარმომადგენელი (პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი);
- დ. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება სამეცნიერო საბჭოში სკოლა წარმოადგინოს დარგის მოწვეულმა სპეციალისტმა.

მუხლი 4. სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობა

1. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობს - უნივერსიტეტის ვიცე პრეზიდენტი სასწავლო-სამეცნიერო და ხარისხის უზრუნველყოფის დარგში.
2. საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის ან მოვალეობის შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში სხდომას თავმჯდომარეობს სხდომაზე დამსწრე წევრებიდან არჩეული საბჭოს წევრი.

მუხლი 5. სამეცნიერო საბჭოს მუშაობის წესი

1. სამეცნიერო საბჭოს სხდომა ტარდება 2 თვეში ერთხელ ან საჭიროებისამებრ.
2. სამეცნიერო საბჭოს სხდომის მოწვევის უფლებამოსილება გააჩნია საბჭოს თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან საბჭოს წევრთა 1/4 მოთხოვნით.
3. სამეცნიერო საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
4. სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უბრალო უმრავლესობით.
5. თავის კომპენტენციაში შემავალ საკითხებზე სამეცნიერო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დადგენილების ფორმით.

მუხლი 6. სამეცნიერო საბჭოს საქმისწარმოება

სამეცნიერო საბჭოს უფლება-მოვალეობების შესასრულებლად საბჭოს სამდივნოს ფუნქციას ასრულებს (ითავსებს) კვლევის დახმარების და მხარდაჭერის სამსახური.

მუხლი 7. სამეცნიერო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

სამეცნიერო საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
- გ) გარდაცვალება;
- დ) გარდაცვლილად გამოცხადება ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარება;
- ე) სასამართლოს მიერ მხარდაჭერის მიმღებად ცნობა;
- ვ) საბჭოს სხდომაზე ზედიზედ სამჯერ არასაკატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
- ზ) საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველები;
- თ) იმ თანამდებობის დატოვება, რომელიც წარმოადგენს სამეცნიერო საბჭოს წევრობის პირობას.

მუხლი 8. სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილების შეწყვეტა

სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილება უწყდება უნივერსიტეტის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის დროს.

მუხლი 9. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს ერთობლივი სხდომა

1. უნივერსიტეტის დებულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში შესაძლებელია, აკადემიურ და სამეცნიერო საბჭოს ერთობლივ სხდომის ჩატარება.
2. სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, მისი არყოფნის შემთხვევაში ან ერთობლივ სხდომაზე დამსწრე პირთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. ერთობლივი სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ჯამში სამეცნიერო და აკადემიური საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, მაგრამ არანაკლებ 5 წევრისა თითოეული საბჭოდან.
3. ერთობლივ სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით დამსწრეთა უმრავლესობით. ერთობლივი გადაწყვეტილება ფორმდება დადგენილების ფორმით, რომელსაც ხელს აწერენ აკადემიური და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეები.

მუხლი 10. უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილება

უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს და აკადემიური საბჭოს ერთობლივი გადაწყვეტილებით მტკიცდება:

- ა) უნივერსიტეტის კვლევითი პრიორიტეტები;
- ბ) კვლევისა და ინოვაციური საქმიანობის შიდა საუნივერსიტეტო სტანდარტები;

გ) აკადემიური საბჭოს და სამეცნიერო საბჭოს უფლებამოსილებში შემავალი სხვა საკითხები, რომელიც შეეხება უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, თუ ერთობლივ სხდომას და ერთობლივ გადაწყვეტილებას მოითხოვს აკადემიური საბჭოს ან/და სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის მინიმუმ $\frac{1}{4}$.

მუხლი 11. გარდამავალი დებულებები

სამეცნიერო საბჭოს დებულება ძალაში შედის პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებისთანავე. სამეცნიერო საბჭოს წინამდებარე დებულების ამოქმედების დღიდან ყოველგვარი ცვლილება/ დამატება მასში, ძალაში შევა ცვლილების პროექტის აკადემიური საბჭოს მიერ განხილვისა და პრეზიდენტის ბრძანებით დამტკიცებისთანავე.